



ეკონომიკა

ხელფასი: საქსტატის მიხედვით, 2023 წლის მე-4 კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლიურად 15.3%-ით გაიზარდა და 2,045 ლარი შეადგინა, წინა კვარტალში დაფიქსირებული წლიური 16.3%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, რეალური ხელფასი 14.8%-ით გაიზარდა ინფლაციის მნიშვნელოვნად შემცირების გამო.

სექტორების მიხედვით, 2023 წლის მე-4 კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია (4,309 ლარი, +17.3% წ/წ), ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (3,110 ლარი, +14.1% წ/წ) და მშენებლობა (3,063 ლარი, +20.8% წ/წ). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ხელფასი ფიქსირდება განათლების (1,157 ლარი, +15.0% წ/წ), წყალმომარაგების (1,320 ლარი, +16.1% წ/წ) და სოფლის მეურნეობის (1,463 ლარი, +24.1% წ/წ) დარგებში.

საშუალოდ, 2023 წელს თვიური ნომინალური ხელფასი 20.4%-ით გაიზარდა 2023 წელს, წინა წლის 18.3%-იანი ზრდის შემდეგ.

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მიხედვით 2023 წლის მე-4 კვარტალში საქართველოს რეალური მშპ 6.9%-ით გაიზარდა, რაც 0.1პპ-ით მეტია წინასწარ მაჩვენებელთან შედარებით. ჯამურად, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნომინალური მშპ 10.1%-ით გაიზარდა და 80.2 მლრდ ლარი შეადგინა (\$30.5 მლრდ). ეკონომიკის მაღალი ზრდისა და ლარის გამყარების შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე მშპ წლიურად 22.0%-ით გაიზარდა და 8,210 აშშ დოლარს მიაღწია 2023 წელს.

სექტორულ ჭრილში, ეკონომიკურ ზრდაში მაღალი დადებითი კონტრიბუცია შეიტანეს შემდეგმა დარგებმა: ვაჭრობა (+13.6% წ/წ), მშენებლობა (+17.2% წ/წ), IT (+27.4% წ/წ), სახელმწიფო მმართველობა (+13.7% წ/წ) და განათლება (+18.9% წ/წ). ამასთან, კლება დაფიქსირდა ჯანდაცვის (-15.4% წ/წ), უძრავი ქონების (-2.5% წ/წ) და სოფლის მეურნეობის (-2.8% წ/წ) დარგებში.

ჩვენი საბაზისო სცენარით, საქართველოს ეკონომიკა 6.0%-ით გაიზრდება 2024 წელს, ხოლო ოპტიმისტური სცენარით ზრდა 7.0%-ის დონეზეა მოსალოდნელი.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის თებერვალში საქონლის ექსპორტი წლიურად 2.0%-ით გაიზარდა და 464.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 26.2%-იანი შემცირების შემდეგ. ასევე, იმპორტი წლიურად 4.4%-ით გაიზარდა 1.1 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 7.5%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 6.3%-ით გაიზარდა და 650.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა თებერვალში.

2024 წლის თებერვალში მანქანები (+13.6% წ/წ), ღვინო (+58.8% წ/წ), ფეროშენადნობები (+8.6% წ/წ), სპირტი (+93.6% წ/წ) და ძვირფასი ლითონები (+87.0% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 8.7% ევროკავშირზე მოდიოდა (-4.1% წ/წ), 66.6% დსთ-ზე (+21.3% წ/წ) და 24.7% სხვა ქვეყნებზე (-27.6% წ/წ).

2024 წლის თებერვალში ტოპ-5 იმპორტი იყო მანქანები (-36.3% წ/წ), ნავთობი (+40.5% წ/წ), გაზი (-30.4% წ/წ), მედიკამენტები (-11.8% წ/წ) და ტელეფონები (+5.7% წ/წ).

ჯამურად, 2024 წლის იანვარ-თებერვალში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 5.9%-ით გაიზარდა 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან ექსპორტი 12.2%-ით შემცირდა და 803.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 1.6%-ით შემცირდა და 2.1 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 2.0%-ით გაიზარდა 2024 წლის თებერვალში (პირველად დაფიქსირდა ზრდა 2023 წლის იანვრის შემდეგ), ხოლო წინა თვესთან შედარებით ზრდა 1.4% იყო. მწარმოებელთა ფასების თვიური ზრდაზე ზეგავლენა იქონია ფასების ზრდამ დამამუშავებელი მრეწველობის (+1.6%) და ელექტროენერგიის მიწოდების (+1.1%) სექტორში.


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები


	2023E	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	22,481	24,844
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,210	8,861
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	3.0%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	5.2
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	4.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.0%	38.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაბარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წლიური %-ლი ცვლილება





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 19 მარტს 7.3-წლიანი 75 მლნ ლარის (27.7 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაცედა. ამასთან, მოთხოვნა 1.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.294პპ-ით შემცირდა და 7.997% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 26 მარტს, სადაც 5-წლიანი 100 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	170	360	410
1 წელზე მეტი	782	2,565	7,752
სულ	952	2,925	8,162


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2024 წლის თებერვლის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	93.15	6.33	185.65
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/	90.84	6.51	245.39
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/	100.87	12.76	207.09
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	101.30	7.85	301.06
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/Ba2	99.77	6.65	123.72
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/	100.38	13.18	467.96

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	n/a	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.87	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.98	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	99.99	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.98	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.66	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.17	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.14	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.57	8.75
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.56	8.75
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.67	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	99.57	7.25
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	100.43	6.50
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-	99.55	7.25
GEL								
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტი & ტაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტი & თაგარტი



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 47.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.24% წინა კვირასთან შედარებით და +4.70% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 379 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 46.85 - 49.45 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 70 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 31.45 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.78% წინა კვირასთან შედარებით და +6.25% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 273 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 31.30 - 32.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 13.12 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.51% წინა კვირასთან შედარებით და +5.98% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 392 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 12.90 - 13.64 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 116 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E			P/B		
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	47.85	2,187	30.7%	87.3%	20.4%	4.36x	5.15x	4.93x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	31.45	1,742	7.3%	39.8%	11.1%	4.78x	4.62x	3.81x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	17.80	4,854	32.0%	56.1%	17.4%	2.57x	3.17x	3.00x	0.72x	0.85x	0.73x
Akbank	AKBNK	TRY	45.82	238,264	48.8%	155.5%	25.5%	2.86x	3.78x	2.65x	0.90x	1.02x	0.76x
Garanti	GARAN	TRY	68.80	288,960	35.4%	163.4%	17.9%	2.84x	4.53x	2.56x	1.00x	1.12x	0.85x
Isbank	ISCTR	TRY	11.02	275,500	10.6%	101.1%	17.9%	3.23x	3.87x	2.50x	0.87x	0.99x	0.72x
PKO	PKO	PLN	57.62	72,025	66.6%	109.1%	14.5%	11.44x	6.92x	7.39x	1.39x	1.35x	1.29x
PEKAO	PEO	PLN	177.50	46,588	79.0%	118.6%	16.7%	6.07x	7.22x	7.98x	1.32x	1.40x	1.35x
Millennium	MIL	PLN	10.60	12,858	95.6%	166.7%	26.9%	17.78x	4.36x	5.31x	1.47x	1.61x	1.33x
Mbank	MBK	PLN	737.00	31,297	88.9%	162.1%	37.8%	na	7.15x	6.69x	1.65x	1.81x	1.50x
BRD	BRD	RON	20.75	14,461	32.7%	72.9%	15.8%	7.62x	10.51x	10.34x	1.42x	1.47x	1.50x
Banca Transilvania	TLV	RON	27.68	22,107	21.7%	58.6%	14.1%	7.76x	8.10x	7.39x	1.82x	1.49x	1.28x
Komercni	KOMB	CZK	826.00	156,981	22.9%	18.3%	14.0%	8.76x	10.58x	10.39x	1.09x	1.26x	1.19x
Mean								6.67x	6.15x	5.76x	1.23x	1.31x	1.14x
Median								5.43x	5.15x	5.31x	1.19x	1.35x	1.28x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: შუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბაროკერო: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)